

კაბუკი

ცოცხალი და მომწესხველი ტრადიციული თეატრი



ოკუნის პორტრეტი
ოკუნი მოიაზრება კაბუკის
ფუძემდებლად, იყო იძუმოს სალოცავის
ქალი მსახური

კაბუკი არის კლასიკური იაპონური თეატრის ოთხი სახეობიდან (კაბუკი, ნო, კიოგენი და ბუნრაკუს თოჯინების თეატრი) ერთერთი. ის შეემატა იუნესკოს კაცობრიობის არამატერიული მემკვიდრეობის ნუსხას 2005 წელს.

კაბუკი განვითარდა ედოს ხანის (1600–1868 წწ.) დაახლოებით 250-წლიან მშვიდობიან პერიოდში. ამ ეპოქის კომერციული კულტურის გემოვნება ასახულია კაბუკის შესანიშნავ კოსტიუმებსა და დეკორაციებში, აგრეთვე პიესებში, რომელიც შედგება ლეგენდარული გმირებისა და ჩვეულებრივი მოკვდავი ხალხისგან, რომლებიც ცდილობენ შეათანხმონ პიროვნული მისწრაფებები სოციალურ ვალდებულებებთან.

კლასიკური თეატრის სხვა ფორმების საპირისპიროდ კაბუკი აგრძელებს იყოს ძალიან პოპულარული; რეგულარულად მართავს წარმოდგენებს ენთუზიასტი მაყურებლისთვის ისეთ თეატრებში, როგორცაა ტოკიოს კაბუკიძა, კიოტოს მინამიძა და ოსაკას შიოჩიკუძა.

კაბუკის ისტორია

თავდაპირველად, კაბუკის უძველესი შემსრულებლები იყვნენ ძირითადად ქალები. კაბუკის წარმოშობას უკავშირებენ იმ ცეკვებსა და მსუბუქ სპექტაკლს, რომელიც პირველად დაიდგა ოკუნის, იძუმოს სალოცავის ქალი მსახურის მიერ ტოკიოში 1603 წელს. სიტყვა კაბუკის აქვს დამატებითი მნიშვნელობებიც: შოკური, არამართებული და მოდური, რაც ძირითადად გამოიყენებოდა ოკუნის პოპულარული დასის სპექტაკლებისა თუ მისი იმიტატორებისთვის. ვინაიდან კაბუკის დასის ქალების ანუ *ონნას* მნიშვნელოვანი საქმიანობა იყო პროსტიტუცია, ტოკუგავას *შიოგუნატმა* უფლება არ მისცა დასს, გაეგრძელებინა საქმიანობა და 1629 წელს ქალებისთვის არალეგალურად გამოაცხადა სცენაზე გამოჩენა. ამის შემდეგ პოპულარული გახდა *ვაკაშიუ* (ახალგაზრდა მამაკაცების) კაბუკი, მაგრამ 1652 წელს ისიც აიკრძალა, რადგან

ახალგაზრდა მსახიობ მამაკაცთა პროსტიტუციური ქმედებები მავნებელ გავლენას ახდენდა საზოგადოების მორალურ მდგომარეობაზე.

ორივე, როგორც ახალგაზრდა ქალი, ისე მამაკაცი, შემსრულებლების მიერ დადგმულ *კაბუკის* აკრძალვას მოჰყვა მოწიფული ასაკის მამაკაცების სცენაზე გამოჩენა. თუმცა აღნიშნულ *კაბუკის*, ანუ *იარო* (კაცების) *კაბუკის* ჰქონდა ნებართვა წარმოდგენების გამართვაზე, ოღონდ მთავრობის დადგენილებით მათ თავი უნდა აერიდებინათ სცენაზე ზედმეტი გრძნობების გამოხატვისთვის და მიჰყოლოდნენ კიოგენის თეატრის უფრო რეალისტურ კონვენციებს.



კაბუკის მსახიობი

მამაკაცი მსახიობების მონაწილეობით წარმოდგენილი სპექტაკლების ლეგიტიმაციის შემდეგ, ერთი საუკუნის მანძილზე, *კაბუკი* არაერთგზის განიცადა ცვლილება. *ონაგატას* (მდედრობითი მონაწილის პერსონიფიცირება) როლები ძალიან დაიხვეწა, იჩიკავა დანჯიურო I (1660–1704 წწ.) გახდა ძლიერი მამაკაცური *არაგოტოს* (მკაცრი საქმიანობა) შესრულების სტილის პიონერი ედოში (ახლანდელი ტოკიო). მაშინ როდესაც, საკატა ტოჯიურო I-ის (1647–1709 წწ.) მიერ განვითარდა დახვეწილი და რეალისტური *ვაგოტოს* (მსუბუქი საქმიანობა) სტილი კიოტო–ოსაკას რეგიონში.

კაბუკის სცენა წარმოიქმნა *ნოს* სცენის თანდათანობითი ევოლუციის შედეგად და მას დაემატა გასაწევი ფარდები, უფრო რთული მრავალმოქმედებიანი წარმოდგენებისთვის. ფართო გამოყენებაში შემოვიდა *ჰანამიჩი* ანუ გასასვლელი აუდიენციისკენ, რაც

საფუძვლად დაედო *კაბუკის* მაცურებლათათვის განკუთვნილ დღევანდელ თვალისმომჭრელ შესასვლელებსა და გასასვლელებს. ბრუნავი სცენა პირველად გამოჩნდა 1758 წელს.

XVIII საუკუნის ვაჭრობის კულტურაში, *კაბუკი* განვითარდა *ბუნრაკუს* - თოჯინების თეატრთან ხან კონკურენტულ და ხანაც მეგობრულ გარემოში. ჩიკამაცუ მონძაემონმა (1653-1724 წწ.), რომელიც მიჩნეულია იაპონიის საუკეთესო დრამატურგად და რომელიც ძირითადად წერდა პიესებს *ბუნრაკუს* თოჯინების თეატრისთვის, 1703 წლის შემდეგ, ასევე დაწერა რამდენიმე პიესა *კაბუკისთვის*. ამ დროისთვის *კაბუკი* დროებით დაჩრდილა *კიოტო-ოსაკას* რაიონში არსებულმა თოჯინების თეატრმა. ბევრი *ბუნრაკუს* პიესა იქნა გამოყენებული *კაბუკიში* თოჯინების თეატრისთვის კონკურენციის გაწევის მიზნით. საქმე იქამდე მივიდა, რომ თავად მსახიობებმაც კი იწყეს თოჯინების მოძრაობების იმიტაცია.

1868 წელს ტოკუგავას *შიოგუნატის* დაცემას მოჰყვა სამურაის კლასისა და ყველა იმ სოციალური სტრუქტურის გაუქმება, რაზეც კომერციული კულტურა იყო დამყარებული, რომლის შემადგენელ ნაწილად *კაბუკიც* ითვლებოდა. დასავლური სამოსისა და იდეების *კაბუკიში*



მინამიმას თეატრი კიოტოში

შემოღება წარუმატებელი მცდელობა აღმოჩნდა, მაგრამ მთავარმა მსახიობებმა, როგორებიც იყვნენ იჩიკავა დანჯიურო IX (1838-1903 წწ.) და ონოე კიკუგორო V (1844–1903 წწ.) დაჟინებით მოითხოვეს კლასიკური კაბუკის რეპერტუარის დაბრუნება. XX საუკუნეში მწერლებმა, ოკამოტო კიდომ (1872– 1939 წწ.) და მიშიმა იუკიომ (1925–1970 წწ.), მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი კავშირი არ ჰქონდათ *კაბუკის* თეატრთან, დაწერეს პიესები, რომლიც *შინ კაბუკის* ანუ ახალი *კაბუკის* მოძრაობის შემადგენელი ნაწილი გახდა. ეს პიესები აერთიანებენ ტრადიციულ ფორმებს თანამედროვე თეატრიდან აღებულ ინოვაციებთან,

რომელთაგან მხოლოდ რამდენიმე შევიდა კლასიკური *კაბუკის* რეპერტუარის შემადგენლობაში.

კაბუკი ორივე ასპექტში (პიესების დადგმა და მჭიდროდ გადაჯაჭვული მსახიობთა ოჯახების იერარქია, რომელიც დღეს განსაზღვრავს *კაბუკის* სამყაროს) ერთგული რჩება თავისი ტრადიციული ფესვების მიმართ და წარმოადგენს გასართობი ინდუსტრიის მნიშვნელოვანსა და განუყრელ ნაწილს იაპონიაში. *კაბუკის* ვარსკვლავი მსახიობები არიან იაპონიის ყველაზე გამოჩენილი და პოპულარული ადამიანები. ისინი ხშირად ჩნდებიან როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე როლებში, ტელევიზორებში, სპექტაკლებსა და ფილმებში. მაგალითად, ცნობილი მამაკაცი *ონნაგატა* (ქალის როლის შემსრულებელი) ბანდო ტამასაბურო V (დაბ. 1950 წ.) *კაბუკის* გარდა თამაშობს ბევრ სხვა სპექტაკლსა და ფილმში და თითქმის ყველგან ქალის როლშია. მან ასევე თავადაც გადაიღო რამდენიმე ფილმი. 1998 წელს გაიმართა *შიუმეი* (სახელის მინიჭების ცერემონია), რაც გამოცხადდა წლის წამყვან ღონისძიებად იაპონიაში, რომელზედაც მსახიობმა კატაკუა ტაკაომ (დაბ. 1944 წ.) მიიღო პრესტიჟული სასცენო სახელწოდება - კატაკუა ნიძაემონ XV. 2005 წელს კიდევ ერთმა *შიუმეის* ცერემონიამ მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება, როდესაც *კაბუკის* მსახიობი, ნაკამურა კანკურო, იწოდა ნაკამურა კანძაბურო XVIII-ედ.



კაბუკიძა

კაბუკიძას თეატრი გინძაზე, ტოკიო, სადაც ამჟამად მიმდინარეობს სარესატაერაციო სამუშაოები. (ფოტო AFLO-სგან)

კაბუკიძა ანუ იაპონიის მთავარი *კაბუკის* თეატრი, რომელიც 1924 წელს აშენდა, 2002 წელს აღიარებულ იქნა სახელმწიფო რეგისტრაციის მქონე მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად. აღსანიშნავია, რომ *კაბუკის* სპექტაკლები კაბუკიძაში არ ჩატარებულა 2010 წლიდან, რადგან თეატრის შენობაში მიმდინარეობდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები ძველი ტრადიციისა და არქიტექტურული მახასიათებლების დაცვით, როგორც იყო, მაგალითად, თეატრის შენობის კრამიტის სახურავის სტილი. ახალი თეატრის შენობა გაიხსნა 2013 წელს, რომელსაც გააჩნია მეტი

ხელმისაწვდომობა და მიწისძვრების წინააღმდეგ მედეგობა.

კაბუკის თეატრის ელემენტები

დადგმები

კაბუკის სპექტაკლები დაყოფილია სამ ზოგად კატეგორიად: *ჯიდაი-მონო* (ისტორიული სპექტაკლები), *სევა-მონო* (საოჯახო სპექტაკლები) და *შიოსაგოტო* (საცეკვაო პიესები). დაახლოებით იმ პიესების ნახევარი, რომელიც დღესაც კაბუკის თეატრში იდგმება, თავდაპირველად დაწერილი იყო თოჯინების თეატრისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული სპექტაკლები ხშირად განასახიერებდა სამურაის კლასის ცხოვრების ეპიზოდებს, ისინი შენიღბული სახით გამოსახავდნენ ედოს წინა პერიოდს, რათა თავიდან აეცილებინათ ტოკუგავას მთავრობის ცენზურთა გულისწყრომა. ამის მაგალითია ცნობილი სპექტაკლი „*კანადეჰონ ჩიუშინგურა*“, სადაც თავდაპირველად მოთხრობილი იყო 47 *რონინის* (დაბალი რანგის სამურაი) 1701–1703 წწ-ის ეპიზოდი, თუმცა მისი მოქმედება ისე გადააკეთეს, თითქოს მოვლენები ხდებოდა მურომაჩის პერიოდში (1333–1568 წწ.).

საოჯახო სპექტაკლები იყო უფრო რეალისტური ვიდრე ისტორიული, როგორც დიალოგების შინაარსით ისე კოსტიუმებით. მაყურებლისთვის ახლად დაწერილი საოჯახო პიესა წააგავდა ახალ ამბებს, რომელიც ეხებოდა ახლახანს მომხდარ სკანდალს, მარცვასა ან მკვლელობას. მოგვიანებით შემოვიდა ოჯახური სპექტაკლების ახალი ვარიანტი *კიძევა-მონო* („გამჭვირვალე“ საოჯახო პიესა), რომელმაც პოპულარობას მიაღწია ადრეულ XIX საუკუნეში. ეს სპექტაკლები ცნობილია საზოგადოების დაბალი ფენების რეალისტური პორტრეტული ასახვით, თუმცა მათ ახასიათებდათ სენსაციონალიზმი, სადაც მოსაწყენი სანახაობებით გადაღლილი მაყურებლების მოსაზიდად მიმართავდნენ ძალადობის ამსახველ თუ შოკის მომგვრელ თემებსა და დახვეწილ სასცენო ტრიუკებს.

საცეკვაო პიესებს, როგორც იყო „*კიო-განოკო მუსუმე დოჯიოჯი*“ („*მოცეკვავე გოგონა ტადართან*“), ხშირად იყენებდნენ ყველაზე საუკეთესო *ონნაგატას* (ქალის როლის შემსრულებელი მამაკაცი მსახიობი) თეატრალური ტალანტების საჩვენებლად.

მსახიობები და როლები

ზემოაღნიშნულთან ერთად კაბუკი ასევე არის თეატრი, რომელიც ემსახურება ვარსკვლავთა საშემსრულებლო ტალანტების წინა პლანზე წამოწევას. მიუხედავად იმისა, რომ ეჭვგარეშეა ის ფაქტი, რომ ბევრ კაბუკის თავყვანისმცემელს ერთნაირად არ მოსწონს ესა თუ ის სპექტაკლი თუ როლი, მათი უმრავლესობა ხშირად იმისთვის მიდის სპექტაკლზე, რომ კიდევ ერთხელ ნახოს მისი საყვარელი მსახიობი თუ მსახიობთა დასი.

თითოეული მსახიობი თეატრის მსახიობთა დიდი ოჯახის წევრი და წარმომადგენელია. თითოეულ ოჯახს აქვს სპეციფიკური სტილი და მიდგომა თითოეული როლის მიმართ. ყველაზე ცნობილი *კაბუკის* თეატრალური ოჯახებიდან არის ამჟამად იჩიკავა დანჯიურო XII-ის (1946 წ.) მიერ მართული დასი. მსახიობი, რომელიც მემკვიდრეობით იღებს იჩიკავა დანჯიუროს სახელს, არა მარტო იზიარებს წინაპრების მიდგომას როლის მიმართ, არამედ ამატებს კიდევ მას თავის მიერ შემუშავებულ ახალ ნიუანსებს. სხვა მნიშვნელოვანი თეატრალური ოჯახების თავკაცები არიან ონოე კიკუგორო VII (1942 წ.) და საკატა ტოჯიურო VI (1931 წ.).

შეიძლება ითქვას, რომ *ონაგატა კაბუკის* ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. *ონაგატას* მიზანი არა ქალის იმიტაცია, არამედ ქალურობის არსის სიმბოლოურად გამოხატვაა. *ონაგატა კაბუკის* ტრადიციების იმდენად განუყრელი ნაწილია, რომ წარმოდგენელია ოდესმე ჩანაცვლდეს ქალი მსახიობებით.

კაბუკის თამაშის უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს სტილისტური შესტებისა და ფორმების (*კატა*) ჩვენება. ეს მოიცავს ცეკვის მსგავსი სტილის საბრძოლო მოძრაობებს (*ტატე*) და სპეციალურ მოძრაობებს, რომლებსაც იყენებენ *ჰანამიჩის* გავლით შემოსვლისა (*ტანძენი*) და გასვლის (*როკპო*) დროს. ყველაზე მნიშვნელოვანი *კატა კაბუკიდან* არის *მიე* (პოზის მიღება). ინსცენირების კულმინაციის დროს, მთელი რიგი სტილისტური მოძრაობების გაკეთების შემდეგ, მსახიობი მიდის აბსოლიტურ უმოძრაობამდე. იღებს სპეციალურ პოზას, რომლისთვისაც დამახასიათებელია გაშეშებული გამომეტყველება. ყველაზე ექსცენტრული *კატა* კი ისტორიულ წარმოდგენებს უფრო ახასიათებს, ვიდრე საოჯახო სპექტაკლებს.

კოსტიუმები და გრიმი

ოჯახურ სპექტაკლებში, ხშირად წარმოდგენილია ედოს პერიოდის სამოსის რეალისტური ნიმუშები, ეს მაშინ, როდესაც ისტორიული სპექტაკლები ხშირად იყენებენ დიდებულ ფარჩის მანტიებსა და დიდ პარიკებს, რომელიც ძალიან წააგავს *ნოს* თეატრის ატრიბუტიკას. *ონაგატას* საცეკვაო პიესების დროს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება კოსტიუმების სილამაზეს.

კაბუკის ერთერთი ცნობილი საფირმო ნიშანი არის ექსტრავაგანტული კოსმეტიკის სტილი, *კუმადორი*. ის გამოიყენება ისტორიულ სპექტაკლებში. ასეთი ნიღბისმაგვარი მაკიაჟის ასეულობით სახე არსებობს, სადაც გამოყენებული ფერები და დიზაინი წარმოადგენს მოქმედი გმირის ხასიათების სიმბოლიზებას. მაგალითად, წითელი ნიშნავს იყო „კარგი“ და გამოიყენება ღირსების, ვნებების ან ზეადამიანური ძალების გამოსახატავად, მაშინ როდესაც ლურჯი არის „ცუდი“ და გამოხატავს ნეგატიურ ხასიათის თვისებებს, როგორცაა ეჭვიანობა და შიში.

კაბუკის მუსიკა

ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი *კაბუკიში* გახლავთ სამსიმიანი *შიამისენი*. იმ მუსიკალურ ჟანრთა შორის, რომელიც სრულდებოდა სცენაზე აუდიტორიის დასანახად, შედის ლირიკული მუსიკის *ნაგაუტას* (*გრძელი სიმღერა*) სტილი და ნარატიული მუსიკის რამდენიმე

ტიპი, სადაც მომღერლისა ან მგალობლის მუსიკალურ შესრულებას აკომპანირებას უწევს ერთი ან მეტი შიამისენი, ზოგჯერ კი სხვა ინსტრუმენტებიც. სტანდარტული *ნაგაუტა*ს ანსამბლი შედგება რამდენიმე *შიამისენზე* შემსრულებლის, მომღერლის და აგრეთვე პერკუსიასა და ფლეიტაზე დამკვრელისგან.

სცენის მუსიკასთან ერთად, არიან კულისების მომღერლები და მუსიკოსები, რომლებიც უკრავენ *შიამისენზე*, ფლეიტაზე, სხვადასხვა დასარტყმელ ინსტრუმენტზე და ქმნიან ფონის მუსიკასა და ხმის სპეცეფექტებს.

ხმის სპეცეფექტების განსაკუთრებული ტიპი, რომელიც გვხვდება *კაბუკიში* არის ორი ხის ნაჭრის დრამატული ტკაცუნი (*ჰიოშიგი*), რომელიც ერთმანეთზე ან ხის ზედაპირზე დარტყმით გამოსცემს ხმას.

კაბუკის ორი სპეცტაკლი

ქვემოთ მოყვანილია ისტორიული სპეცტაკლისა და საოჯახო სპეცტაკლის მოკლე შინაარსი.

"კანჯინჩიო" (ხელმომწერთა სია)

ჯიდაი-მონო (ისტორიული სპეცტაკლი), რომელიც ეფუძნება *ნოს* წარმოდგენას სახელწოდებით "ატაკა", მიჩნეულია *კაბუკის* ყველაზე პოპულარულ რეპერტუარად. ბრწყინვალე მეომარი მინამოტო ნო იოშიცუნე (1159–1189 წწ.) გარბის ჩრდილოეთში, რათა ხელში არ ჩაუვარდეს მის ნახევარძმას, კამაკურას შიოგუნატის დამაარსებელს, მინამოტო ნო იორიტომოს (1147–1199 წწ.), რომელსაც უსაფუძვლოდ შეაქვს ეჭვი იოშიცუნეს ერთგულებაში. იოშიცუნე გადაცმულია მისი ლეგენდარულად ერთგული მეგობრის, ბენკეის ტვირთის მზიდავის სამოსში.

ტოგაში საემონი, ოფიცერი, რომელიც დგას გამშვები პუნქტის საგუშაგოზე ატაკაში, კავას პროვინციაში (დღევანდელი იშიკავას პრეფექტურა), თავის შესავალ სიტყვაში ჰყვება, რომ საგუშაო აღიმართა იმ მიზნით, რომ დაიჭირონ იოშიცუნე, რომელზეც ეჭვი აქვთ, რომ მოგზაურობს ჩრდილოეთში *იამაბუშის* (მთის ბუდისტი ასკეტი) სამოსში გადაცმული.

იოშიცუნე და მისი თანმხლები პირები გამოდიან *ჰანამიჩიზე*, „ყვავილების ბილიკზე“, რომელიც მიემართება სცენიდან მის გარეთ. მათ არ აქვთ საჭირო საინდეტიფიკაციო საბუთები, მაგრამ ბენკეი, რომელიც ჯგუფის ხელმძღვანელის როლს ასრულებს, ცდილობს დაარწმუნოს ტოგაში, რომ ისინი არიან ბერები და აგროვებენ შემოწირულობებს, რათა აღადგინონ ტოდაიჯის ტაძარი ნარაში. ოფიცერ ტოგაშის ეჭვი აქვს, რომ ის ცრუობს და სთხოვს ბენკეის წაიკითხოს შემოწირულობებზე ხელმომწერთა სია (*კანჯინჩიო*), რომელიც მათ აუცილებლად უნდა ჰქონდეთ თან თუ მართლაც შემოწირულობებს აგროვებენ. ყველაზე ცნობილი სცენაა, როდესაც ბენკეი ხელში იღებს ცარიელ გრაგნილს და თვალთმაქცობს, თითქოს კითხულობს.

ტოგაში გაცემულია ბენკეის შეუპოვრობითა და თავდადებით და მიუხედავად იმისა, რომ კარგად ხვდება თუ ვინ არიან, ნებას აძლევს მათ გასცდნენ საგუშაგოს, თითქოს ვერც იცნო ისინი. როგორღაც ერთერთი ტოგაშის კაცი ეჭვდება დელიკატური გარეგნობის მეზარგულზე, რომელიც თავად შენიღბული იოშიცუნეა. თვალის ახვევის მიზნით ბენკეი ცემასა და ლანძღვას დაუწყებს იოშიცუნეს იმისთვის, რომ დაარწმუნოს ტოგაში, რომ მისი მსახური, რომლის ცემის უფლებაც მას აქვს, არ შეიძლება იყოს მისი ბატონი. ბენკეის ერთგულებით აღფრთოვანებულია ტოგაში, რომელიც ყველაფერს ხვდება; მასში ისევ იღვიძებს ადამიანური თანაგრძნობა და ნებას რთავს მათ გაეცალონ იქაურობას.

როგორც კი ჩაივლიან გამშვებ პუნქტს, ბენკეი სთხოვს პატიებას მის ბატონს დარტყმისა და უდიერი მოპყრობისთვის, მაგრამ იოშიცუნე აქებს მის გამჭირაობას. სხვა მსახიობები ტოვებენ სცენას და ბენკეი ცნობილ *როკპოს* გასასვლელში *ჰანამიჩის* გასწვრივ მდგარი გამოხატავს გადარჩენით გამოწვეულ უსაზღვრო სიხარულს.

„აოტო-ძოში ჰანა ნო ნიშიკეი“

სევა-მონო (ოჯახური სპექტაკლი) არის ფართოდ ცნობილი როგორც „*ბენტენ კოდო*“ („*ქურდი ბენტენი*“) და დაიწერა კავატაკე მოკუამის (1816–1893 წწ.) მიერ, რომელიც ედოს პერიოდის საუკეთესო დრამატურგად ითვლება. პიესა 5 აქტისგან შედგება, მაგრამ დღესდღეობით ძირითადად სრულდება III, IV და იშვიათად - V მოქმედებაც.

სპექტაკლი ასახავს ყალთაბანდის ბენტენ კოდო კიკუნოსუკესა და მისი ხუთკაციანი ბანდის საგმირო საქმეებს. მესამე მოქმედებაში *სამურაის* ქალიშვილად გადაცმული ბენტენი და მისი თანმხლები მეორე თაღლითი შედიან კიმონოს მაღაზიაში. ისინი გაითამაშებენ სცენას, სადაც ბენტენს ბრალს დასდებს მაღაზიაში მყოფი *სამურაი*, რომელიც სინამდვილეში ასევე მათთან შეთანხმებით მოქმედებს, ქსოვილის მოპარვის მცდელობაში, რომელიც ვითომ შემთხვევით შეესწრება ბენტენის ქურდობის სცენას. ამის გამგონე მაღაზიის გამყიდველი ურტყამს ბენტენს ქურდობის მცდელობისთვის, მაგრამ ის და მისი თანმხლები პირი უარს აცხადებენ, რომ დანაშაული არ ჩაუდენიათ და მიყენებული შეურაცხყოფისთვის ითხოვენ მაღაზიის თანამშრომლისგან კომპენსაციას. ამ კამათის ერთერთ ყველაზე ცნობილ სცენაში, ბენტენი იმიშვლებს მხარს და აჩვენებს მათ სვირინგს და თავს კრიმინალად აცხადებს. ამასობაში მისი საუბარი და მანერები თანდათან იცვლება და მაღალი წრის ლედის ქცევებიდან გადადის ნაძირალა ქურდის უხეშობაში.

სამურაი, რომელმაც ვითომ და ქურდობაში ამხილა ბენტენი, არის ნიპპონ დაემონი, ქურდების ბანდის მეთაური და ხელოვნურად შექმნილი უთანხმოების სცენა მაღაზიის საბოლოოდ გამარცხის დიდი გეგმის პრელუდიაა.

სამწუხაროდ, მათ წყალში ჩაყვრებათ გეგმა და IV მოქმედებაში პოლიციისგან ძებნილი ხუთივე ქურდი გარბის მდინარის ნაპირისკენ თავის დასაძვრენად. სხვა ცნობილ სცენაში ბანდის



წევრებს აცვიათ ლამაზი კიმონოები და ქოლგით ხელში მოემართებიან *ჰანამიჩიდან* მთავარი სცენისკენ. ისინი არ იმჩნევენ, რომ მათ ზურგს უკან მომავალ პოლიციელებს ხედავენ და განაგრობენ თავიანთ შესახებ ამბების თხრობას.

V მოქმედება, რომელიც იშვიათად იდგმება, მოიცავს დრამატულ სცენას, სადაც ბენტენ კოძო მარტო გარბის გოკურაკუჯის ტაძრის სახურავისკენ, სადაც ის ჯერ ებრძვის პოლიციას და ამარცხებს მას და შემდეგ თავს იკლავს.